

გადაწყვეტილება №122-03/12

სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

სააპელაციო საჩივრის განმხილველი კოლეგია: ე. ეგუტია (თავმჯდომარე),
ე. ქემაშვილი, ი. გიქორაშვილი

2012 წლის 11 სექტემბერს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატას კომპანია „Fontera Brands (Singapore) Pte Limited“-ის („ფონტერა ბრენდს (სინგაპური) პტი ლიმიტიდ“) წარმომადგენელმა მომართა სააპელაციო საჩივრით (საიდ. №122-03/12) და მოითხოვა სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების გაუქმება, რომლის თანახმადაც კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „Andhor“ (საიდ. №67252/03) დარეგისტრირდა შპს „ალპენ მილკ“-ის სახელზე 29-ე კლასის საქონლის ჩამონათველისათვის.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის

დებულების მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად: სააპელაციო საჩივარი არ არის დასაშვები თუ სააპელაციო საჩივარი არ არის წარდგენილი ამ დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით. საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად სააპელაციო პალატაში გასაჩივრების საფუძვლებია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველ, მე-2 და მე-4 პუნქტებში გათვალისწინებული საფუძვლები. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს საქპატენტის ექსპერტიზის გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ დარღვეულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლების მოთხოვნები.

აპელანტი კომპანია მის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ იგი მიიჩნევს აღრევამდე მსგავს ნიშნებად სასაქონლო ნიშანს „Andhor“ (საიდ. №67252/03), რომლის რეგისტრაციაზეც მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება და მის კუთვნილ ნიშნებს „АHKOP“ (რეგ. №14176), „АHKOP“ (საიდ. №66410/03) და „ANCHOR“ (საიდ. 66411/03). აპელანტი ასევე თვლის, რომ აღნიშნული ნიშნების საქონლის ჩამონათვალიც მსგავსია. შესაბამისად, აპელანტი თვლის, რომ დაირღვა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

სააპელაციო პალატის კოლეგია განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშნის „АHKOP“ (რეგ. №14176) რეგისტრაცია გაუქმებულია იმ საფუძვლით, რომ არ არის გადახდილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მომდევნო ათი წლით შენარჩუნებისათვის დადგენილი საფასური. რაც შეეხება დანარჩენ

ორ ნიშანს „АHKOP” (საიდ. №66410/03) და „ANCHOR” (საიდ. 66411/03) მათზე მიმდინარეობს არსობრივი ექსპერტიზა და ისინი არ არიან რეგისტრირებულნი. ვინაიდან, არც ერთი სასაქონლო ნიშანი რომლის საფუძველზეც აპელანტი ითხოვს სასაქონლო ნიშნის „Andhor” (საიდ. №67252/03) რეგისტრაციაზე მიღებული დადებითი გადაწყვეტილების გაუქმებას არ არის რეგისტრირებული, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალსწინებული შემთხვევა. სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად სააპელაციო პალატაში გასაჩივრების საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველი. კოლეგიამ იხელმძღვანელა საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის ა) ქვეპუნქტით და

დაადგინა:

1 კომპანია „Fontera Brands Pte Limited”-ის (საიდ. №122-03/12) სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნეს ცნობილი.

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ეგუტია

წევრები:

ე. ქემაშვილი

ი. გიქორაშვილი